სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/203

ქ. თბილისი 19 ნოემბერი 2020 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 2020 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №11 ოქმის, დეკანის, პროფესორ ზურაბ წვერაიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის №01-05-02/34 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაციის“ ხელმძღვანელად პროფესორ ია მოსაშვილის ნაცვლად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ლელა გაჩეჩილაძე;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**